

იუმორისტ. ჟურნალი




აშუაპირს ააღორაქნი



№ 18

თავ. სინჯ. ქარ. ამხ.

„ღამხრჩველი“



ო. ულიბე

მკომებში ღიღ ჟოანხომეგას იწვევს ეს უტაბელი შემთხვევა: არ იციან რით დაიხრჩო რსულიად ჯანსალი კაცი თფილისის ქუჩაში წყლით, უწყლობით, თუ მტვერით.

ვინა ხართ?!

წერილი მიმართულია ქართველი დეპუტატები-სადმი და შეეხება ქართველ ერს.

ბატონებო! აგერ ამდენი ხანია ქართულ (ჩემ-შემართ "ქართულ") პრესაში თქვენს მოღვაწეობას საჩუქრით სჩეჩენ, საპენტელით ჰპენტენ და საცოხარით სცოხნიან. ჩვენ, ე. ი. მე (და ჩემთან ერთად მთელ ქართველ ერს) „საქართველო-სახალხოფურცლელთა“ (და მათთან ერთად მთელი ქართველი ერის!) საყვედურები გადაქარბებული თუ არა, ვადაშლაშებული მაინც ვგვგონა. როცა მაგალითად „საქართველოელი“ (და მათთან ერთად მთელი ქართველი ერი) აკაკი ჩხენკელს „აღშფოთების დეპეშას“ უწერამდენ, მე (და ჩემთან ერთად მთელ ქართველ ერს) ძლიერ გვიკვირდა:

— ნეტავი რისთვის ხარჯავენ ამდენ ფულს? (სიტყვა 7 კაპიკი ღირს) ნეტავ სადა აქვთ ამდენი ფულები!

ერთი სიტყვით ბატონებო, მე (და ჩემთან ერთად მთელი ქართველი ერი) ჯერ კიდევ შესაძლებლად ვსცნობდით ნეიტრალიტეტის დაცვას და წარმოიდგინეთ ამ ნეიტრალიტეტისათვის არავითარ კომპენსაციას არ ვთხოვლობდით.

მაგრამ როცა ბ-ნი გ. ნათაძე (და მასთან ერთად მთელი ქართველი ერი) „ვედარ გაჩუმდა“, ჩემი (და ჩემთან ერთად მთელი ქართველი ერის) აღშფოთებას საზღვარი აღარა აქვს.

აი ამიტომ მე (და ჩემთან ერთად მთელი საქრისტიან-სამაჰმადიანო საქართველო) უზომო აღელვებას განვიცდით, აღარ შეგვიძლია გაჩუმება, აღარ შეგვიძლია დუმილი!

ბ-ნებო! ამდენი ხანია ვუცქერი თქვენს საპარლამენტო მოღვაწეობას და რასა ვხედავ:

- ა) თქვენ ლაპარაკობთ ქართველი ხალხის დამშფოთებას და დარბევის შესახებ.
- ბ) თქვენ ლაპარაკობთ ვიღაც აჭარლებს აოხრება-აწიოკებისა და ჩაგვრის შესახებ.
- გ) თქვენ ვრცლად ეხებით ვიღაც ემიხარის

დეპეშისაგან გამოწვეულ პროვოკატორულ მოქმედებას.

დ) ეხებით წყალდიდობისა და მოუსავლობისაგან დაზარალებულ რაიონების უმწეო მდგომარეობას.

ე) ბევრს ლაპარაკობთ ადმინისტრაციულ მოუწყობლობა და უწესრიგობაზე ჩვენს მხარეში და სხვა და სხვა და სხვა.

მაგრამ...

მაგრამ თქვენთვის მიუწვდომელია ნამდვილი ინტერესი ქართველი ხალხისა, ვერა სწვდებით მისი მფეთქები ძარღვის სულის კვეთებას, ვერა გრძობთ მის ნამდვილ გულის ცემას. (მე დარწმუნებულ ვარ თქვენ მიხედვით, თუ რა აღელვებული ვწერ მე ამ წერილს).


თუ არ ამით, მაშ რით აიხსნება თქვენი დუმილი იმ წმინდა ეროვნულ უბედურობის შესახებ, რომლის მოწამე ვართ დღეს ჩვენ (და ჩვენთან ერთად მთელი ქართველი ერი).

მე მოგახსენებ თბილისის სამეურნეო ბანკის თავმჯდომარის ადგილის გარშემო ატეხილ ბრძოლის შესახებ.

ნუ თუ თქვენ, ბატონებო, ვიღაც აპარლებს, ან თუ წყალწადებულ და დამშეულ იმერლებს მაღლა აყენებთ იმ პოლიტიკურ საკითხზე, თუ ვინ აიღებს სამეურნეო ბანკში 200 მანეთს ჯამაგირს?

ღიახ, საქვეყნოთ ვიძახი (და ჩემთან ერთად გაჰკივის მთელი ქართველი ერი), რომ თქვენ არა ხართ ჩემი (და ჩემთან ერთად მთელი ქართველი ერის) წარმომადგენელი. მიუხედავად ამისა მე (და ჩემთან ერთად მთელი ჩემი ქართველი ერი) არ ვკარგავთ იმედს, რომ თქვენ დაუბრუნდებით თქვენს სამშობლოს და შეიგნებთ მის გულის ტკივლს, მის გასაჭირსა და მის იმედებს. და თუ ჩემი (და ჩემთან ერთად მთელი ჩემი ქართველი ერის) იმედები ოდნავ საფუძვლიანია, მაშინ დარწმუნებულ ვარ თქვენ დაუყოვნებლივ შეკითხვას შეიტანთ სახელმწიფო დუმაში ქვემოთ აღნიშნული ამბის შესახებ.

ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში თბილისის თავდა-აზნაურობამ მარშლად აირჩია სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე თავ. დ. ჩოლოყაშვილი.



სამეურნეო ბანკში თავმჯდომარის ალაგი განთავისუფლდა!

როდესაც ის ბანკის კიბეზე ჩამოდიოდა, ნიამოხვდა და ეს ამბავი (ამბავი ბანკის თავმჯდომარის ადგილის დაკლისა) მთელ ჩვენ ინტელიგენტურ სამშობლოს მოჰფინა. ერთი ტალღა გაიჭრა გოგიჩაიშვილის სავარძელთან, ხოლო მეორემ გოთუას გრძელი პალტოს კალთები შეუთამაშა.

— ადგილი დაიცალა!

— ადგილი დაიცალა! ისმოდა ყრუ ხმა სამოხლო ცაზე.

კანდიდატებმა (და მასთან ერთად მთელმა ართველმა ერმა) ცხვირები მალღა ასწია და ადგილის სურნელებით დასტება.

დაიწყო აგიტაცია.

„სახალხო ფურცელმა“ პირველმა მოათავსა პრინციპიალური“ წერილი, რომ „კანდიდატის ზევის დროს საქირაო ყურადღება მის („კანდიდატის“) ღირსებას მიექცეს და არა „ადგილისას“.

მთელი საქართველო დაათრო და დაატბო ამ პრინციპიალურმა წერილმა.

თფილისელი ვაჭრები (და მათთან ერთად მთელი საქართველო) ხელეპირად ფ. გოგიჩაიშვილის სახელს იმეორებდა. ან კი რატომაც არ უნდა გაემეორებია: ვის ნახავდა მასზე უკეთესს ბანკის თავმჯდომარედ. ცნობილია: თუ ფ. გოგიჩაიშვილი ერთ ადგილას დაჯდა, შეუძლია მთელი კვირე ისე იჯდეს, რომ ადგილიდან არ დაიძრა, მეტადრე თუ თავზე დააჯდა ვისმე.

პ. გოთუასი ამ დროს ხსენებაც არ იყო.


ხალხი, მე და ჩემთან ერთად მთელი ქართველი ერი, დარწმუნებული ვიყავით, რომ თავისუფალ სამეურნეო სავარძელში ბანი ფილიპე გოგიჩაიშვილი ჩაჯდებოდა და ჩვენი ქვეყნის მეურნეობას ააყვავებდა. ამ აზრისა იმიტომ ვიყავით, რომ ბანი ფილიპე გოგიჩაიშვილი მთელი მისი სიცოცხ-

ლე ამ საქმისათვის ემზადებოდა. ჯერ კიდევ სასულიერო სემინარიაში ყოფნის დროს შენიშნული ჰქონდათ, რომ იგი ხულ ნამწვავ სანთლებს ითვლიდა. როცა გერმანიიდან ეგზარხოსს თხოვნა გამოუგზავნა: — „შუხუთის ეკლესიაზე მღვდლად მაკურთხეო“, მაშინაც სახეში ფინანსიური მოსახრება ჰქონდა, მაგრამ რომელი ერთი დავასახელო, ქვეყანამ იცის, რომ ყოველგვარ მის ნაბიჯს და

მოქმედებას სარჩულად მარად ჟამს ფული და ოქრო უძევს.

მაგრამ უცებ გამოტყვერა მეტოქე, ბ-ნი პ. გოთუა. გაიმართა კონკურენცია. მართალია „სახალხო ფურცელს“ თავის პრინციპიალურ მოწინავეში კონკურენციის საქიროებაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ მაინც გაიმართა.

ანდაზის აზრი დაიჩრღვა!



ფილიპე გოგიჩაიშვილი თუმცა ორ კურდღელს დაედევნა, მაგრამ ერთი მაინც დაიჭირა.

ფილიპე გოგიჩაიშვილი დაედევნა ორ კურდღელს და წინააღმდეგ ქართული ანდაზისა ერთი მაინც დაიჭირა. ის ამბობდა: „შე თანახმა ვიქნები, თუ ორივე რედაქცია „სახალხო-საქართველო“ (და ალბათ მასთან ერთად მთელი ქართველი ერი) **საჭიროდ***) სთვლის ჩემს შესვლას ამ დაწესებულებაშიო“.

პერთენ გოთუა გამოედევნა მხოლოდ ერთ კურდღელს. გამოედევნა მძიმე ტვირთით და მაინც დაეწია. ფეხი არც კი გაუჩქარებია, რამეთუ კურდღელი სულ უკან-უკან იცქირებოდა; ცნობის მყვარეობით გატაცებულს სურდა გაეგო, თუ მოჰქონდა ტომრით მის მღვეარს.

* ეს სიტყვა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის ფ. გოგიჩაიშვილის გათავმჯდომარება ბანკს უკერძოდ.

პრაქტიკული მონადირე.



3. გოთუა მხოლოდ ერთადერთ კურდღელს გამოედევნა და მიუხედავად იმისა, რომ ზურგზე მიძიმე ტვირთი ეკიდა, მინც დაიჭირა.

როცა „საქართველო“ გაექცა, ფ. გოგიანი-შვილი ერთი ერთი კურდღლის ამარა დარჩა, ძლიერ წუწინა და „სახალხო ფურცელში“ „პრინციპალიზორი“ წერილი დასწერა. (ამ გარემოებას ხელი შეუწყო „სახ. ფურცლის“ რედაქციაში მომხდარმა ბაასმა, რომლის დროს ვაზ. „საქართველოს“ სამხ. მინისტრმა მიხ. აღამაშვილმა ზოგიერთი რამ გამოაშუარავე).

(იხ. სურათი უკანასკნელ გვერდზე).

წერილი დიდია და „პრინციპებით“ სავსე, მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო ერთი ადგილია. ფილ. გოგიანიშვილი ამბობს:

„იელისის ბოლო რიცხვებში ბანმა ა. შანშაშვილმა*) თავისი სულიერი (მოთხოვნებით კაშხკრა ქებაში და მითხრა: — ხვალ კასეთში მივდივარ და შენს შესახებ დიდი აგატატია მინდა გავსწიო.“

ფ. გოგიანიშვილი სრულ სიმართლეს ამბობს. კახეთში მოგზაურობის დროს მე ხელთ ჩამივარდა საინტერესო სურათი ერთ-ერთი სააგიტაციო სხდომისა.

*) ეს ყმაწვილი „საქართველოს“ რედაქტორია, ხელობით კი პოეტი.



მგოსან-რედაქტორ-აგიტატორი ა. შანშიაშვილი თავისი „სულიერი მოთხოვნები“ აგიტაციას ეწევა კახეთში ფ. გოგიჩაიშვილის სასარგებლოთ.

აქ გამოხატულია ბ-ნი შანშიაშვილი (დამასთან ერთად მთელი ქართველი ერი). ჩვენი სასიკეთოდ მგოსანი, (თუმცა ფ. გოგიჩაიშვილმა უთხრა მას ეს რა მგოსანის საქმეა) გაცხარებულ აგიტაციას ეწევა ქართველი ხალხის წინაშე ბ-ნი გოგიჩაიშვილის სასარგებლოთ.

ამავე დროს. ბ-ნო დეპუტატებო, „სახალხო-საქართველოს“ რედაქციებში გამართული იყო ბიუროები საიდანაც მთელ ჩვენ ქართველ ხალხს ურიგდებოდა მოწოდებები. ამ შიმშილობის დროს ქართველი ხალხი გულს აყოლებდა იმ „მოწოდებების“ კითხვას და იოლად გამოდიოდა. ამბობენ მოწოდებები თვით ფ. გოგიჩაიშვილის შედგენილია და თქვენ უეჭველია მოგხსენდებათ ანდაზა: „ძალი ვინც მოჰკლას, იმან გადაათრიოს“. თუ კი

დასწერა მოწოდებები, გავრცელებას ზედაც ხომ საიქირო იქნებოდა ზრუნვა.

ბრძოლა 22 აგვისტოს დაიწყო. „სახალხო ფურცელმა“ ესროლა „საქართველოს“ ფ. გოგიჩაიშვილის ქარხანაში შენამზადები 200 სტრიქონიანი ყუმბარა „მცირე განმარტება“. მე უკვე მოვიყვანე ამ ყუმბარის ნატეხები ზემორე ამისა ნათქვამში. დანარჩენთაგან საყურადღებოა— ფ. გოგიჩაიშვილის ანგდოტი „ლამაზი ქალის“ შესახებ. „ერთ ემაწვილს, თურმე, გაეყვით უეჭვარა ერთ ღამისა ქაჯი. სულ იმასე ოცნებობდა, იმას შესტრფო

და და შექმნაროდა (აქ მზითების შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ფ. გოგინიაშვილმა ფიანსისტი კაცმა და...) ერთსულ შეყვარებულმა ვაჟმა დაინახა თავისი სატროფო. მას თავი დედის კაღაშაში ჩაეღო და დედა კი მწერებს ნადარობდა. მან ისეთი გავლენა იქონია, რომ ვაჟს დასანახაეთი შესძავდა თავისი სატროფო.

სატროფო ქალი, ანუ ნესტან დარეჯანი „საქართველოს“ რედაქციაში, ხოლო მისი ტარიელი ბ-ნი ფ. გოგინიაშვილი. ლანჩხუთელ „ტარიელს“ ძლიერ უყვარდა თავისი „დარეჯანი“, ვიდრე ეს უკანასკნელი მასზე გულს არ აიძრებოდა და მიცდური თვალბით მერორეს, უფრო მომხიბვლელ სატროფოს, ბ-ნი გოგინიაშვილს არ გადაჰხედავდა. სიყვარული ცვალებადია, თურმე, და რათ უკერძო ბ-ნი გოგინიაშვილს, თუ ლარიბმა, მაგრამ ლამაზმა კინაემამ, რომელსაც საპნის ფული არა ჰქონია თავი დებანა და მკებნართავან განთავისუფლებულიყო, მღიდარ სატროფოსაკენ გადახარა სასწორი? ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა.

22 აგვისტო ამ ერთი სროლით დათავდა და მთელი ქართველი ერი რაღაც საშინელების მოლოდინში ჩაეფლა.

23 აგვისტოს „საქართველომ“ ორი ყუმბარა გადაისროლა „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში, ერთი ორ დიუმბიანი ბ-ნი ადამაშვილისა, რომელსაც არავითარი ზიანი არ მოუტანია, ხოლო მეორე „სარედაქცია“, რომელმაც დაზიანა ბ-ნი ფ. გოგინიაშვილი. ეს ყუმბარა შეზავებული იყო სულსემუთავი ვაზებით და გარეთეოაც ზიანი მიაცენა. ისინი ამბობდენ: ბატონი ფ. გოგინიაშვილი სწერს;

„გიჟთომ ჩვენ წარმომადგენელს ეთქვას, რომ გოთულამ ამას წინათ ხუთასი თუმანი გვიშონა და ახლაც დაპირებულია ბლომად ფულის შოვნას. ამიტომაც, რასაც ვფიქრობთ ამ შემთხვევაში (არჩვენებზე), იმის შირდაშირ დაწერა არ შეიძლება“. ასეთი ფრაზის თქმა არამ თუ ვაზეთის თანამშრომელს, და მით უფრო წარმომადგენელს, არამედ უბრალო კინტოსაც არ შეიძლება“.

თავის თავად ცხადია, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ასეთი განცხადება თფილისელ კინტოებსა (და მათთან ერთად მთელ ქართველ ერზე). კინტოებმა გადასწყვიტეს სამედიტატორი სამართალში გამოიწვიონ „საქართველოს“ რედაქცია შეკრაკყოფისათვის და ითხოვენ: „დაუმტკიცოს მათ საქართველოს რედაქციამ, რომ სიტყვა პასუხი, და სატროფო აღნიშნული რედაქციისა რითიმე სჯობია კინტოებისას“. ვნახოთ რას იტყვის პირუთენელი სამსჯავრო.

იმვე 23 აგვისტოს ნომერში „საქართველოს“ რედაქცია სწერს:

დეპუტატი ჩხეიძის ახალი საზრუნავი. რო-

გორც გაზეთი „რევი“ გადმოგვცემს, დეპუტატი ნ. ს. ნსეძეს უწყუება შინაგან საქმეთა მინისტრ თავ. ნ. ბ. შერბატოვისათვის, რომ ორენბურგში ზოგერთ მუშებს იტყვენ, რომელიც სამხედრო-სამრეწველო კომიტეტიში მოქმედებდა.

და მართლაც! როცა ჩვენს სამშობლოში ასეთი გენიის ცეცხლი ტრიალებს, როცა ბანკის თავმჯდომარის ადგილზე ამდენი მელანი იღვრება და შეიძლება სისხლიც დაიღვაროს, თქვენ, ბ-ნო დეპუტატებო გამოსულხართ და ვიღაც მუშათა შესახებ ზრუნავთ, კანონის დარღვევასა და უმიზეზოთ ხალხის დატუსაღებაზე აწუხებთ ბ-ნი მინისტრებს. ნუ თუ ამაზე მეტი უყურადღებობა სამშობლოსადმი შეიძლება?

25 აგვისტოს „სახალხო ფურცლის“ რედაქციამ მედგარი პასუხი გასცა „საქართველოს“ „შინაური“ ზარბაზნით; აქაც ჩვეულებისამებრ „პრინციპებით“ შეზავებული ყუმბარა იქმნა ნასროლი, რამაც მე (და ჩემთან ერთად მთელი ქართველი ერი) ალტაცებაში მოგვიყენა, რადგან „ძღვენი თანამოაზრისაგან“ ჩინებული საქმე ყოფილა.


ამავე დღეს „საქართველოს“ რედაქციამ მზერავები გავზავნა „სახალხოში“ და აშკარა ომი გამოუცხადა.

„სახალხო ფურცლის“ რედაქციაში.



„საქარ.“ წარმომადგენელი.—ბატონებო, ჩვენ უნდა გავსწორდეთ „განსაზღვრული წესით“. გაძღვეთ 24 საათის ვადას!

საშინელი ღამე.



ი. გედევანიშვილს მთელი ღამე საშინელი სურათები ელანდებოდა, რამაც ძილი ერთობ გაუტეხა.

იერიშით მისულნი შეიარაღებულნი იყვნენ ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვისამებრ, სახელდობრ ბ.ნი რეზო გაბაშვილის სისტემის რევოლუციებით. ამ გარემოებამ „სახალხოელთ“ (და მათთან ერთად მთელ ქართველ ერს), თავზარი დასცა.


როგორც გავიგეთ „სახ. ფურცლის“ უწარჩინებულეს წარმომადგენლებს იმ ღამეს თითქმის ცხრაჯერ გამოეღვიძა და ათას გვარი საშინელი სანახაობა თვალწინ ებანდებოდა.

თქვენ კი ამ დროს იქ, ვილაც მინისტრებს და ადმინისტრატორებს ებრძვიო! ნუ თუ ეს დამაფიქრებელი არ არის და ნუთუ ამის შემდეგ უფლება არა მაქვს შეგეკითხო:

— ვინა ხართ თქვენ?

ულტიმატუმის ველად მხოლოდ 24 საათი იქმნა დანიშნული და „საქართველოელნი“ მოუთმენლათ მოელოდნ ამ ქამის მოახლოვებას.

მ რ უ თ მ ე ნ ლ ე ბ ი.



„საქართველოს“ მესვეური საათებს მისჩერებოდნ და ჩვეულებრივის მოუთმენლობით ჩასცქეროდნ, თუ როდის შესრულდება დანიშნული ველა.


საუცხოვო სანახავი იყო მთელი რაზმი საზოგადო მოღვაწეთა, ცალ ხელში საათებითა და მეორეში იარაღებით გამზადილნი.

მაგრამ „სახალხო გაზეთი“ პრინციპებითაა მაგარი. მათ „პრინციპიალურ“ სანგრებს აღვილათ ვერაფერ მიუღებდა. ახლაც ასე მოხდა.

დაიწყო „ოქმოზია“ საქმე ერთობ გამწვავებულია. მოსალოდნელია დიდი სისხლის ღვრა და

ნუ თუ ახლაც არ გაიღვიძებს თქვენში ქართველი ინტელიგენტის ინსტიქტი, რომელიც მუდმივ შეპყრობილია „ბანკოზშით“. ნუ თუ თქვენ კვლავ აჭარლებსა, დამწულ იმერლებსა და ვილაც ვიგინდარა მუშებზე იზრუნებთ, როცა ჩვენს სამშობლოს ასეთი საფრთხე მოეღის.

სოკრტის მოყვარულნი!



სოკრტის მოყვარულნი აღტაცებით მოელიან ამგვარ სანახაობას.


თუ ეს მართლა მოხდა და თქვენ შემდეგშიაც თქვენებურის ჟინიანობით განაგრძეთ ბრძოლა ჩვენი სამშობლო ინტერესების წინააღმდეგ, მე (და ჩემთან ერთად მთელი ქართველი ერი) იძულებული ვიქნებით თქვენს მაგიერათ. დუმაში ბ-ნი ადამაშვილი გავგზავნოთ.

ეშმაკი.

P. S. ვინ იცის. იქნება თქვენ, ბატონო დეპუტატებო, მოიმიზეზოთ ეგრედ წოდებული „პროლეტარიატის ინტერესები“. ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია მეც (და ჩემთან ერთად მთელ ჩემს ქართველ ერს) მოგახსენოთ, რომ „სამეურნეო ბანკის“ თავმჯდომარის ადგილზე ამტყდარამ ბრძოლამ ძირიანად შეარყია ჩვენი, „სახალხო ფურცლის“

რედაქციასთან არსებული, ეგრეთ წოდებული „ეროვნული პროლეტარიატი“. ამბობენ, ვითომ მთელი „სახალხო“ პროლეტარიატი in corpore (სამი კაცი) გამოცხადდა „საქართველოს“ რედაქციასთან და ომის წინააღმდეგი დემონსტრაცია მოახდინა. შუშები არ ჩაუმტვრევიათ, ვინაიდან რედაქციის ბავშვებს თამაშობის დროს მათ მისვლამდე დაეღეწათ ყველა შუშები.

ეშმაკი.



ანბანთა ჯანყი.

რადგან ქვეყნათ გაბატონდა ომი, ჟამი ხოცვა ქლელა, რადგან ომი წლობით მიდის ხალხი მსხვერპლათ გაიმეტა.

ომის ირგვლივ იბრძვის ყველა*) ცა და დედა-მიწის შვაზე ხალხი ხალხს და მეფე მეფეს ქვას არ უტოვებენ ქვაზე.

ძმაი მოძმეს აღარ ინდობს პროლეტარი პროლეტარსა შეცნიერნი პროფესორებს, თვალში სთხრიან კალმის ტარსა.

ამ ამბავმა როგორც სხვაგან ჩვენს ანბანშიც შესდგა ფეხი (ფეხი მეტათ უბედური იგი ჭირის მოსატეხი)

ააჯანყა ასოები... დაერიგნენ ერთი მორგეს (მძიმეს, წერტილს, ვინ უყურებს აზრის აზრთან მოსაშორებს).

ა—ნი ამბობს: „ასოებში პირველი ვარ, მეთაური, ხმოვანიც ვარ და ბრძოლაშიც გამოცდილი ბედაური.

თან ყველაზე უხნესიც ვარ, თქვენ ჩემს შემდეგ დაიბადეთ, პირველობას რომ ჩემულობთ ჯერე იგი გამოსცადეთ

რაც მე ჩემი გაჩენიდან თვით ცხოვრებამ შემასწავლა და თქვენ ჯერე ახალგაზრდებს არ შეგეძლოთ იმის გავლა.

ბრძოლის წესებს ვერ ასწავლით ასის თავნო თქვენ სარდალსა ასოების თავში ვდგევარ თან ვასრულებ წმინდა ვალსა

და თუ მაინც არ მოიშლით ასის თავათ ჩავეწერო სან დონ შუა გამომწყვედვა მივიღო და შევიფერო

ამით ანბანს ვაზარალებ მიჯობს მარტო გამოვიდგი, ვინც ისურვებს ჩემთან ყოფნას ვიქნე იმის გზა და ხიდე,

რომ სხვა ქვეყნის ხმოვან ანბანს ბოლოს ჩვენიც შევეუერთო სულ შენხუთავ გაზებითაც ვერ დამაბნევ ბრძოლის ღმერთო“.

ანის ამ გვარ განცხადებას წყენით შეხვთა ა—ნი კ—ანი: „შენ თუ ასო პირველი ხარ ჩვენ მეტი გვაქვს სიგრძე განი.

ჯერ ორნი ვართ და მერე კი ხმოვანიც და თანხმოვანი ჩვენს გარშემო დგანა კიდევ ასოები წვრილი სხვანი.


მართალია თავში დგებარ ცოდნაც გაქვს და უფლებაცა,

*) ვით მუზისთვის აღიანელა.

მარა მეტი ჩვენსკენ არის
საქირა ეხლა რაცა.

შეთანხმების პირობები
შენვე უნდა დააწესო,
არევის დროს წინამძღოლო
ჩვენო ანბანთ უხუცესო.

ბუტუნა.



ო რ ი ე მ მ ა კ ი .

(სამტრედიასთვის)

1. ააა! გამარჯობა მეგობარო! როგორ გაწით-
ლებურხარ და გაოფლებულხარ? საიდან?

2. ეჰ, ძმაო, გაწითლდები კი არა, გაყვითლ-
დები კიდევ იმ საცოდაობას რომ უყურო, რაც
დღეს ჩვენს პირ. დაწ. სასწავლებელში ვნახე. მი-
საღები გამოცდაა. ეზო სავსეა მოსწავლე ქალ-ვაჟე-
ბით. მასწავლებლები ყველა ნაცნობები აღმოჩნდნენ,
მხოლოდ ერთი შავკრემანი ყმაწვილი, რომელიც
ინსპექტორის დასდევდა უკან ქუდ მოხდილი, ვერ
ვიცანი და ახლად დანიშნულია მგონი.

1. ალბათ ნიკურაძე იქნება.

2. დიახ, დიახ. ნიკურაძე უნდა იყოს, „ექიმ“
ნიკურაძის ძმა. ამბობენ ორივეს სამტრედიის რკი-
ნის გზის ორკლასიან სასწავლებელში მიუღიათ
განათლება. ერთი (უფროსი) „ექიმობს“, მეორე,
უმცროსი კი „მასწავლებელია“. მოგახსენებენ მო-
წაფეებს პირობით ამზადებს: გიმნაზიის რეალური
სასწავლებლის და ყველა საშვალო სასწავლებლის

ყველა კლასებისათვის, სიმწიფის მოწმობაზე და
უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტებისათვისო.

1. ყოჩაღ, ყოჩაღ, კაცი ისა ყოფილა თუ
ორი კლასის მეტი არ გაუთავებია და ასეთ უნარს
იჩენს.

2. გაისმა პირველი ზარის ხმა და მოწაფეებიც
შეიკრიბნენ თავიანთ კლასებში. მე იმ ოთახის ახლო
დავრჩი, სადაც პირველი კლასის მოწაფეებს სცდი-
დნენ. კარნახით წერის შემდეგ, წაუკითხეს მოსაყო-
ლი და მოწაფენიც შეუდგნენ წერას. ნახევარი სა-
ათის შემდეგ ატყდა ბეჭების სიშინელი ტირილი.
ვერ გავგოთ წაკითხული და სულ ცრემლებით
დაასველეს ქალაღლები; რომ გენახა მათი საცო-
დაობით შენც ატირდებოდი...

1. ჩემს ტირილს ის არ აჯობებდა თვითონ
უხეირო წამკითხველი აგვეტირებია?

2. მასწავლებელი ბ—ია ანგარიში გამოცდის
დროს ერთ ნაწილს მოწაფეებისას ასწავლიდა და
უსწორებდა, მეორე ნაწილი კი უნუგეშოთ შეს-
ცქეროდა მას და თვალებიდან ცრემლები დაპა-
ლუპით გადმოსდიოდა.

1. ბ—ია შენ ნახე?

2. როგორ არა, ამბობენ ისიც პირობით აჰ-
ზადებს მოწაფეებს, ფულებს წინ და წინ იღებს,
ნიკურაძე და ის „ქანქრის“ ნიადაგზე ერთად „პე-
დაგოგობდნენ“


1. ის მასწავლებელი ხომ არ გინახავს შარშან
ანგარიშის წიგნიდან ყველა მოწაფეებს საპასუხო-
ები რომ ამოუგლიჯა?

2. ს—ნა? როგორ არა, ამბობენ ამ ოპერა-
ციას წელს მხოლოდ საკუთარ კლასში აწარმო-
ვებსო.

1. სწორეთ ბედი სწყალობს სამტრედიის
საზოგადოებას. შარშან ჩიკვიძე—შარაბიძეები უშ-
ვებოდა ოპერაციას, წელს კი ბ—ი, კაკუშაძე—ნი-
კურაძეები. ჯანჯლობა სამტრედიაში ამ ნიადაგზე
ციბე—ცხელემაზე უფრო სისწრაფით ვითარდება
ყველა ანა—ბანას მცოდნე მასწავლებელია... ეს
—კ—ძე ვინლა?

2. ეს ორთა შეთანხმების ენა ტანია აგენტი
ყოფილა. მაგრამ მაგის შესახებ შემდეგ.

ალი.



მ მ რ ა ლ ა

ნურგინ დამძრახავს, თუ ოღნავ
იოლი დარჩეს შარადა...
რა ვქნა, მარგუნა განგება
ეგ ჩემდა გასამწარადა.

შხამსა და მელანს არ ვზოგავ,
ვათენებ ღამით ღამესა,
და გაქირვებით ვამზადებ
თქვენთვის საკადრისს რამესა,
მაგრამ ჟამი დგას ისეთი,
დრო ასგზის შესაჩვენები
და მაპატიეთ თუ ვერ ვსთქვა
საკადრის მოსახსენები.

ქალბატონს ერთსა ამბობენ,
ვის დედა არა ჰყოლია,
(მამრისგან იქმნა შობილი
ზორციც არ გამოჰყოლია)

სცხოვრობდა ბაღში, სადა კრავს
შიში არ ჰქონდა მხეცისა;
სადა სუფევდა კანონი
მიწის კი არა,—ზეცისა.

სად კბილთა ღრქენა არ იყო
და სულის წაწყმედ ცხონება
სად უხვად ჰქონდათ ღობობო
და სხვა მაგვარი ქონება...

მაგრამ ცხოვრება კეთილი
სხვამ ქვეყნად ვინ შეიფერა?
ეშმაკს ეკერძა ის ქალიც
და ღმერთი გადაიმტერა.

მონახეთ იმავ წალკოტში,
სადა ცხოვრობდა ის ქალი
პატარა, მრგვალი ცხოველი
ზურგს ძვალი ედგეს ფიქალი.

ოთხფეხი არის, ბალახს ძოვს,
ჯოჯოს მიუგავს სახება
თუ ქალა-ტყეში გივლია
უთუოდ დაგენახება.

ნავარდი იცის „უებრო“
რაშიც ვერ შეედარება...
(ქართულსა საქმიანობას
თუ ძალუძს ეგზომ წარება!!!)

მას სახლი თვისი თან დააქვს,
მკვლარიც შიგ ჩაესვენება.
(ორი ანბანი გვეჭირია
როცა გვსურს მისი ხსენება.

აწ ჯამი ვნახოთ ფირუზის,
იმავ ბაღს ადგას თალათა
თვალ-მარგალიტნი ობოლნი
გულს უმშვენებენ ლალათა.

არ უჩანს კიდე ზღუდლისა
ჯამისა იმის არესა...
და ერთგვარ ეგვიპტელებს
იგი ყოველსა მხარესა...
საუკუნეთა სივრცეში
სდგას ჯამი იგი დიადი
ხან დღისა ამკობს სინათლე
ხან ჰმოსავს ღამის წყვილიადი.
დასწერეთ, (მხოლოდ უკულმა)
მოკლე სახელი ჯამისა.
(არ დაინგრევა ქვეყნა
თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ ამისა).

არა მსურს იმ ბაღს გავშორდე,
ფეხის არა მაქვს ქავილი.
მაშ მოდი, იქვე მოვნახოთ
პატარა ტურფა ყვავილი
მტრედის ფერ თვალებიანი
ამშვენებს ბუჩქის ძირებსა...
ვინ არის იგი ვერ ნახოს,
თუ ნახვას დააპირებსა!..

უკვე აშენდა შარადა
ამდენი ოხერა-ვიშითა,
და, როცა გადავიკითხე
გული გამისკდა შიშითა.

ხელი მოვხვიე ყველაფერს,
რაც რამ მებადა საბადი
ურემს ხარები გაუბი,
მოკვარი გულა-ნაბადი

და გავცალე იმა ბაღს
აწ აღარ გვარგებს ბაღათა
ვეცადოთ ჩვენი ქონება
და თავი დავგვრჩეს საღათა.

კალო.

მოსსენება

თელავიდან.

გამიგონია: — ქიზიყში
ბლომათ არისო „გმირები“,
მაგრამ ფიქრადაც არ მქონდა,
თუ ეგზომ გასაკვირები!

სამაგალითო ყოფილან
ხმალ-კაპარუ აუსხმელებიც...
და „გმირთა“ შესადარები
ჰქონიათ თავიც, ხელებიც.

თელავში ვნახე მათი სპა
საომრად გასაგზავნები,
და ვთქვი! — რას აწყენს ამით შუბლს
გერმანთა „ჩემოდანები“?

აქ გამოსცადეს მათ თვისი
სწორ-უზოვარი ძალები:
უკუაქციეს ქუჩათვან
მამაკაცი და ქალები.

აიღეს, მთელი ბაზარი
გაჰხადეს შესაბრალეები;
ქვებით აავსეს ღუქნები...
თვითონ ჰქმნეს სამართალები.

„სახელოვანათ“ იბრძოლეს
ხელთ იგდეს გაფენილები;
კერძო ბინებშიც შეიქრენ
რაზმებად დაწყობილები.

ვაქცატურ ყვირის ჰყოლენ
ვით ხევის ყორან ყვავები...
კურთხევაც ბევრი მიიღეს,
თან ისახელეს თავები.

ვაშა თქვენ, ქიზიყელებო,
გმირნი გასხიათ შვილები!
ეგზომ ვერ გვავენებს ნადირი,
ვითარცა თქვენი ზრდილები.

გ. ძამუკოვი.

საყულიდან.

კვლავ დაფუბრთნი ვაკესა,
მომწყინდა მთებში ყილი

და უნდა გითხრათ სიმართლე
ვაკე გამხდარა ტილი.

მელიტოს მოღვაწეობით
ხალხს მოხვევა წყვედილი,
რა იცის: ხელში რას იღებს
მქალი არის თუ ხშიალი.

მამასახლისი — მწერალი,
სოფლის ვეჭილი ბარნაბა,
მათი დამქაში ვლადიმერ
(ვაი იმათ და ჯანაბა).

ერთს უცხადებენ კრილობას,
ხელს სხვაზე აწერინებენ
და „მოსე მწერლის“ ხრიკებით
ახალ გზებს აქრევენებენ.

სობოენ კობიტარს, მუხიანს,
რკინის გზას აყრევენებენ;
ამგვართ „საკიკაძოში“
პლატფორმას ახსნევენებენ.

„ნაჩალინიკს“ კობიტარისას
თავბელსა აწყველინებენ:
გაზეთის ჰამას ყვაზუნდ
ერთბაშით აწყვეტინებენ.

ავის მნახველნი სოფელგონი
კარგზედაც გულით გრილობენ,
უარს ამბობენ სკოლაზე:
მახეს რომ ასტონენ სცდილობენ.

გვიშველე ძია, ეშმაკო,
მე შენ კი გეთაყვენები,
თორემ ურგები გზისათვის
აიქრა ოქროს ყანები!

მახინკალე.





პატარა მესტერიული.

(უჩხუბისათვის)

დიდი ხანია მას შემდეგ
სტვირზე არ დამიმდერია,
არ დამივლია სოფელი,
გულა არ გამიბერია.
და რომ ნაწყენი არ დამრჩეს
სამშობლოს ჩემის კერია
ერთხელ კვალად მსურს ვიმდგრო
მისმინეთ, არაფერია!..

სოფელი ესე უჩხუბი
ბახმაროს ძირად ჰყუდია,
ბუნების სიმშვენიერით
სწორედ ედემის კუდია.
კარგია მდებარეობით
ოლონდ...ის არის ცუდია—
რომ ხალხის დიდი ნაწილი
აქ სამათრახის—კუდეა.

ბოროტება და მრუშობა,
სიცრუე, ავი ქცევანი,
კარტი, ნარდი და ლოთობა,
უჩით-ერთ ქოჩრით თრევანი—
მეზობლის დაწვა, დაბუგვა,
გლენთა სახლ-კარის ნგრევანი,
ლაწირაკების თარეში
ფანჯრების ქვებით მტვრევანი—

კიდევ ვინ მოსთვლის იმ ამბებს
აქ როა გამეფებული,
ჩარჩებიც ომის მიზეზით
შეიქმნენ თავ-აშვებული.
„ტავარს“ ათ ფასად ჰყიდიან
არ ძლება მათი გლახ გული,
იმათი ტრფობის მიზანი,
მხოლოდ ფულია და ფული!..

ემშაკო, ცული დრო არის
აღსდგენ ბნელეთის ძალები,
შავი ბურუსი ჩამოწვა
და გაახილეს თვალები.
სწორედ ეხლაა საქირო
შენი მათრახის ტარები,
რამეთუ ბევრი ზურგია
აქ მისი გასატარები.

—ბელი.

პატარა ფელეტონი.

(ჩამდვილი ამბავი).

ქალაქ ითევრუზოში სცხოვრებდა ერთი ვინმე
კაცი სახელად ნესტორ. ის მეტათ გაუნათლებელი
და გონება დაბნული ადამიანი იყო. არც ზნეობა
უწყობდა მას ხელს და როგორც ბუნებით ბორო-
ტი ადამიანი მისი ცლა მუდამ იმაში იყო, რომ
რამე რიგათ ვისმესთვინ ზიანი მიეყენებია. ეს გა-
რემოება მას აგონებდა ძველ ნეტარ ბატონქმურ
დროს და როგორც აზნაური თავს ბედნიერათ
გრძნობდა. ჩინებული გურული ჩხავერის, მშვენიე-
რად შემწვარი გოქების და გურულად დასაციებუ-
ლი ინდაურების წყალობით, დროთა საუზმიანცი-
სათა, მას წილათ ერგო მბრძანებლობა მაღალი,
წვეტიანი წაბლის სარებით შემოფარგლულ „სამე-
ფოსი“, სადაც დანაშაული თუ უდანაშაულო ადა-
მიანები სცხოვრობდნენ, ანუ უკეთ რომ ვსთქვით
იტანჯებოდნენ ოთხ კედელ შუა. ყოველი მათი
ნაბიჯი, სუნთქვა, თუ საზრდოება დამოკიდებული
იყო ნესტორის „ბრძნულ“ მბრძანებლობაზე. ან
კი ვინ გაბედავდა ურჩობას, როდესაც მძლეობა
მძლე, მაგრამ ბოლოს სამარცხვინოთ ძლეული,
საუზმოვი მფარველობდა მას.—რათა ჰაერი არ მო-
წამლულიყო მის საბრძანებელში ნესტორმა აკრძა-
ლა თამბაქოს წევა; რათა მეტის სიარულით არ დაღა-
ლულიყენენ და არ დასნეულებულიყენენ—ღმე-

ღამის განმავლობაში სეირნობა შეამოკლა 1/2 საათამდის. რათა მეტი საზრდოთი არ გასუქებულიყვნენ—აკრძალა გარედგან მოწოდებულ სადილებს მიღება და შეაჩვია მრევლი რაც შეიძლება ნაკლებ ჭამას, ხოლო რათა სული მათნი არ წარმდგარიყვნენ საშინელსა სატანჯველსა შინა განსჯათ ცხონებათა და წაწყენდათა—ჩვეულებრივ ოთხშაბათ-პარასკევს კვირაში კიდევ მიამატა ერთი სამარხეო დღე, როდესაც მარტო ლობიოსი და ისიც უმარილოს ჭამა შეიძლებოდა. რათა გარეშე ხალხისაგან მათ არ გადმოეღოთ „ცუდი“ ზნე-ჩვეულება და არ გაემართათ საუბარი—მან ნახვის ნაცვლათ მხოლოდ რამოდენიმე წუთით დანახვის ნება დარჯო და სხვა და სხვა.

ამ მხვრივ მან წააჭარბა თვით აღიხანოვ-ტოლ-მაჩვე-კრილოვის დროსაც კი, როდესაც ხსენებულ „სამეფოში“ მეტი შედგავითაინი პირობები იყო ნებადართული. რათა უცბათ „მეტრი“ არ შემოსეოდა და მისი განუსაზღვრელი უფლება არ შეებღალა ნესტორმა „სამეფოს“ მცველებათ მიიწვია სიძე და ბიძაშვილები. უზომო დაზოგვის მეოხებით მრავალი ქანქარი მიცოცავდა ნესტორის მარცხენა ჯიბისაკენ, მაგრამ ამაზე ხმასაც ვერავინ იღებდა.

მაგრამ ყველაფერი დრებითია ამ კურთხეულ ქვეყანაზე, და ჩვენი ნესტორის ბედნიერებაც მხოლოდ დროებითი დარჩა. ცხოვრების ჩარხის „უკულმა“ ტრიალის მეოხებით „დაუნდობელმა“ ითეგრუხოველებმა ნესტორის მფარველი საუზმიანიცი და მისი ამალი სამარცხვინოთ განდევნა და მოევილინა ქალაქსა იმას ვინმე შავაძე, აღმაინი შედარებით გონიერი და ფხიზელი. ნესტორის განუსაზღვრელი უფლებანი ცოტათი შეიკვეცა, მაგრამ ხომ შოგებსენებათ: „ჩვეულება რჯულის უმტკიცესიაო“, ნესტორმაც ვერ დაიშალა და ჩვეულებისამებრ ქანქარის სიყვარულით გატაცებული ისევ ძველ გზას გაყვა. დღეს ნესტორის ჩხავერს, გოქს და ინდურს ნაკლები გასავალი დაურჩა. წინეთ ის ჩვეული იყო ყაღბი ანგარიშების დადასტურებას, მაგრამ მისდა საუბედუროთ შავაძის მიერ დასადასტურებელ ანგარიშში (სჩოტში) მრავალთა სხვათა შორის აღმოჩნდა საბედისწერო 18 კაპ. ცოცხი. (ითეგრუხოში ადგილობრივი ცოცხი დარდნელის დაკეტვის შემდეგ 7 კაპ. ღირს.) დამსწრეთა ყურადღება სწორეთ ამ ძვირფასმა ცოცხმა მიიპყრო, რომელმაც „საუბედუროთ“ ლაპარაკი დაიწყა და ნესტორის საქმენი საგმირონი ქვეყანას აუწყა.


საბედისწერო მოლაპარაკე ცოცხის შემდეგ ბ. შავაძე შეუბრალეზელი ვინმე აღმოჩნდა და ამ ცოცხისავე საშვალეზით მან „დაწულ სამეფოსაგან“ გამოცოცხა ერთი ნესტორ, ერთი მისი სიძე და ორი მისი ბიძაშვილი. დღეს ნესტორ „ფეხამბრათ“ ამდგარა და სცდილობს ბ. შავაძის, კვდამის და სხვების სამეფერო დასჯას, მაგრამ მოლაპარაკე ცოცხის აჩრდილი მას მუდამ თან დასდევს, უტყუარ მოწინააღმდეგე მოწმეთ უჩნდება, და მოსვენებას არ აძლევს,

ისიაო.

ოჩამჩირისათვის.

ოლონდაც რომ დრო თქვენია, ჩამოთალეთ სათლელ ღუმას. არ გაწუხებთ ის გენია, მცხოვრებლებს რომ უჩენს „ჩუმას“ ჩვეულებრივ უდარდელათ ითაღლითეთ თავისათვის რა ვუყოთ რომ თქვენ დამცველად, ინეშნებით დაბისათვის. საჭიროდ სცნობთ რომ იზრუნოთ მხოლოდ თქვენი ჯიბისათვის. ეცადოთ და იწუწუნოთ, საკუთარი კუჭისათვის, ვისაც გნებავთ გადახედეთ, ერთხელ მაინც დაბას ჩვენსა, ურიცხვ გროვას ბაყაყების, რიგ-რიგობით აქ რომ სტვენსა. ერთხმად, მწყობრად, რომ მართავენ, ბალ-ქუჩებში კონცერტებსა, სმენა-გრძნობებს რომ გვიტკობონ, ვუმადლოთ ეს ჩვენ მამებსა.

პეტრე.



ფონტა

სად. ბალაჯარა. კ. ლოთიშვილს. იუმორი-სტული ლექსების წერა არ გებერხებათ; სხვათა შორის სწერთ:

„...დემოკრატებსაც ესება,
ისხენებს უდიურათა,
თავისი თავი გამოყვებს
შემია გურბიულათა...“

ბ. ლოთისშვილს! დანებეთ თავი მწერლობას და ისევ მამოთქვენის ხელობა სცადეთ!

ალექსანდროპოლი. კოტს. აი თქვენი ლექსი:

„უშმაკო-ჯან,
შენ გენაცუალო,
შენი მათრახისა კული
აქ გამოატანცალო.
ბეგრს ნახამ კონდუქტორებს
მოქეიფე მონარქ-ქარტებსო,
შენი მათრახის კული
ერთი კარკათ გადჭკარი
გაუტუღაშუნეო...
ერთი ისიც შეკეთსე,
ყურნაღ-გაზეთების კიბსვა
რამ შეგაძულათ-თქო,
გერე ტკბილათ-უღარდეათ
ბანქობას რამ შეგაყვარათო“... და სს.


თქვენ თითონ გვიჩიეთ სინდის ქვეშ: დავბეჭდოთ?

სად. აგსტადა. ჰინქალას. თქვენ იწერებთ:

„ძმაო ეშმაკო ძლიერ საჭიროა თქვენი მათრახი ჩვენი ამხანაგებისათვის (აქ გვარებს ასახელებთ), რომელნიც ეჩხუბებიან ერთმანერთს რომ ფაიკა ტუზში როგორ უნდა გამოქრას“.

თქვენი ამხანაგების რა მოგახსენოთ და თქვენთვის კია საჭირო ერთი მათრახი, უთუოდ მარჯვენა ხელზე: იქნება კალამი გაგადებინოსთ.

ბათომი. ვ. ი—ეს. თქვენი მოთხრობა „სინდისი“ არ დაიბეჭდება: ჯერ ერთი, რომ იუმორი-სტული არაა, მეორე-ისეც ძალიან სუსტია.



„სამხ. მინისტრი“ მიხეილ აღამაშვილი, რომელმაც „სახ. ფურცლის“ რედაქციაში გამოააშკარავე ზოგიერთი სიიღუმლოებანი, რის გამო ჩამოართვეს პორტრეტი.